იაპონიის ელჩის ტადაჰარუ უეჰარას შეხვედრა საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტთან კარლო ქველაძესთან

19 სექტემბერს, იაპონიის ელჩი ტადაჰარუ უეჰარა შეხვდა საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტს კარლო ქველაძეს. ბატონმა ქველაძემ ელჩს გააცნო ასოციაციის მოღვაწეობა, მისი ისტორია და სამომავლო გეგმები. მან ასევე უსურვა იაპონიის ელჩს წარმატებები საქართველოში მოღვაწეობისას. ელჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ ქველაძეს იაპონია-საქართველოს ურთიერთობების გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის და მომავალშიც თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

2014 წლის 29 აპრილს, ბატონი კარლო ქველაძე დაჯილდოვდა ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენით.

.